# დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

## რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე

ჩვენ, საქართველოში მოქმედი რელიგიები,

ვაცნობიერებთ რა, საქართველოს ისტორიულ მისწრაფებას ევროპული ოჯახისა და კულტურის მიმართ,

ვეყრდნობით რა, ქართული საზოგადოების პლებისციტით გამოხატულ ნებას,

ვითვალისწინებთ რა, რელიგიების მნიშვნელობას და როლს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ცხოვრების ფორმირებაში,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარს ვუჭერთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას;
2. მიგვაჩნია, რომ საქართველოს, როგორც ძველი ევროპის კულტურული ოჯახის ისტორიული წევრისა და გამორჩეული ტოლერანტობის ტრადიციის მქონე ქვეყნის როლი მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპის თანამეგობრობისათვის, ისევე, როგორც ევროპული ქვეყნების მიღწევები ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის სფეროში - ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის;
3. ვგმობთ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას; საკულტო ნაგებობების ეთნიკურ-ისტორიული კვალის წაშლის მიზნით უხეში გადაკეთების, დახურვის ან განადგურების ყველა ფაქტს;
4. ვემიჯნებით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის გამოვლინებებს და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს;
5. მხარდაჭერას ვუცხადებთ საყოველთაო პლებისციტით განცხადებულ საქართველოს ისტორიულ არჩევანს - ევროპულ კურსს ეროვნული ტრადიციების, ოჯახისა და რწმენის ფუნდამენტური საკითხებისა და ღირებულებების შენარჩუნებითა და მოფრთხილებით.

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის
  საქართველოს ეპარქია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
- რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო.